საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01- 02/147

ქ. ბათუმი 06 სექტემბერი, 2021 წ.

,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 24 აგვისტოს №01-02/135 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის", „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 ივლისის №59 დადგენილების, 2021–2022 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის, სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი მისაღები გამოცდების კოეფიციენტების და სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 იანვრის N06-01/02 დადგენილების (ცვლილება - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს N06-01/84 დადგენილებით), სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 6 სექტემბრის MES 7 21 0000861518 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება ,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 24 აგვისტოს №01-02/135 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს დისტანციურად ელექტრონული ფოსტის - master@bsu.edu.ge საშუალებით 2021 წლის 30 აგვისტოდან 13 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე."

ბ) 4.1. და 4.2. პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4.1. მისაღები გამოცდა უცხო ენაში - 2021 წლის 14 სექტემბერი (დაწყების დრო: I ცვლა - 10^{00} საათი, II ცვლა - 14^{00} საათი;);

4.1.1. გამოცდის შედეგების გამოცხადება- 2021 წლის 15 სექტემბერი;

4.1.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება - 2021 წლის 16 სექტემბერი 10^{00} დან 16^{00} მდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით;

4.1.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის მომზადება - 2021 წლის 17 სექტემბერს (ეცნობება კონკურსანტს, მის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).

4.2. მისაღები გამოცდა სპეციალობაში - 2021 წლის 20 სექტემბერი (გამოცდის დაწყების დრო: I ცვლა - 10^{00} საათი, II ცვლა - 14^{00} საათი;):

4.2.1. გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2021 წლის 20 სექტემბერი;

4.2.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება - 2021 წლის 21 სექტემბერი, 10^{00} დან 16^{00} მდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით;

4.2.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის მომზადება - 2021 წლის 22 სექტემბერს (ეცნობება კონკურსანტს, მის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).

გ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. გამოცდების საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2021 წლის 23 სექტემბერს, ბსუ-ს ვებგვერდზე და ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფაზე.";

დ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,8. სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს 2021 წლის 23, 24, სექტემბერს, 27 სექტემბერ, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა N32/35 (კორპუსის და ოთახის ნომრის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს გამოცდის საბოლოო შედეგებთან ერთად).".

2. წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია აისახოს ბსუ-ს ვებგვერდზე, ასევე ეცნობოს დარეგისტრირებულ აპლიკანტებს (განაცხადებში მითითებულ მათ ელექტრონული ფოსტაზე).

3. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**